№ 452. სამშაბათი, 10 თებერვალი 1896-1898 სამშაბათი, 10 თებერვალი, № 452.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 11 თებერვალს
ბენეფისი
მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა
ქართული დასის არტისტებისაგან
ქნ. ბარბ. ავალიშვილისა და ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
ორი ობოლი
მელოდრამა 5 მოქმედ. თარგ. ა. ცაგარლისა.
დასასრულ
ადვოკატთან
ვოდ. 1 მოქმ. თარგ. ვ. გუნიასი
მოთამაშენი: ქ.ქ. საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა; ბ.ბ. აბაშიძე, შათირიშვილი, მჭედლიშვილი, ადამიძე, საფაროვი, თამაზიშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი ქ. მესხი

XXXX
გამოვიდა და ისყიდება
უბის წიგნი
1898 წლისათვის
= მშვენიერის ყდით და ყარანდაშით =
ფასი 20 კაპ.
უბის წიგნში მოქცეულია მართლ-მადიდებელთა კალენდარი, უქმეები და დღესასწაულნი დაბეჭდილია წითელის ფერადებით და სურათები მეფე ერეკლე II-სა და თავ. ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიულის ცნობებით. ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს, ფოსტის ფული არ დაეხარჯება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკები გამოგზავნონ.

მინდა ვიყიდო
(12—8)
ცოცხალი
კავკასიის გარეული ცხოველები:
ირმები, ჯეირნები, გარეული თხები, შურთხები, ჯიხვები, გჭფხები, არჩვები, არნები, ფოცხვერები. გარეული ღორები, ჯორცხენები და სხვ.
საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.
მსურველთ მიჰმართონ პირადად ან წერილით მიხეილის ქუჩაზე № 106, ეზოში; ბარამოვის სახ.
ჰუგო ვინკლერს
Тифлисъ, Михайловская, № 106, Гуго Винклеру.

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჩაბარიანისა
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
—
იქვე ისყიდება ი. მაჩაბარიანის თარგმანები:
ბრჭყალები: 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
ივდითი ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა.
(30—20)

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს
ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—29

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად, და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.
—
Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150 - 87)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანის, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გირრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

კაზეთ „ცნობის ფურცლისა“ რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან

6 თებერვალი

პარიჟი. სასამართლოსთან ცოტაა ცნობის მოყვარე ხალხი. საქმის გარჩევა დაიწყეს 12 ს. 30 წ. ვექილმა კლემანსომ სთხოვა სასამართლოს, სამხედრო სამინისტროსაგან ბორდეროს დედანი მოიტანეთო. თავმჯდომარემ სთქვა, ეგ შეუძლებელი არისო. შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს ზოგიერთ მოწმებს. ლაპარაკი დაიწყეს შესახებ იმისა: როდის არის დაწერილი ბორდერო. პიკარი ამტკიცებს—აპრილშიო, გონზი—აგვისტოშიო. პელიემ სთქვა: სამხედრო სამინისტრომ მიიღო ნამდვილი დამტკიცება ესტერგაზის დანაშაულობისა და მე თითონ ვნახე ეს დამტკიცება. სწორედ მაშინ მივიღეთ ბარათი, რომელშიაც ეწერა: „ნურასოდეს ნუ ილაპარაკებთ იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც ჩვენა გვქონდა მაგ ურიასთან“. ბარათი არ იყო ხელ-მოწერილი, მაგრამ თან ჰქონდა სადარბაზო ბარათი და ზედ ჰქონდა ისეთივე ნიშანი, რა ნიშანიც ჰქონდა საბუთის ქაღალდს. გენერალი ბუადერფიც დაგვემოწმება ამაზე. (აღტაცებული ტაშის ცემა).

პარიჟი. პელიეს საპასუხოდ ლაბორიმ შენიშნა, რომ ეს ახალი გარემოებაა, ამ საქმეში ჩახჩირულიო. ლაბორიმ დაუმატა, რომ პირველმა საიდუმლო dossier-მა გამოიწვია დრეიფუსის განსჯა, ახლა კი მეორე dossier-იც აღმოჩნდა,—მაშ რატომ არ უნდა განვიხილოთ იგიო. აღელვებას ქვეყნისას საზღვარი არ ედება. საჭიროა ყველაფერს ნათელი მოეფინოს და რაც უნდა სთქვან ამიერიდგან, საქმის განხილვა აუცილებელი ხდება (ხმაურობა; ტაშის ცემა) ლაბორიმ დაუმატა: „წარმოგვიდგინონ საბუთები და ჩვენც იმათ წინაშე ქედს მოვიხრით; განმარტოს პელიემ; მოიტანონ ყველა საბუთები“. გონზმა სიტყვა მოითხოვნა და სთქვა: „მე უსათუოდ მოვიწონებ პელიეს აზრს, არა მგონია, საჭირო იყოს მოტანა იმ საბუთებისა, რომელთა შესახებაც ლაპარაკია“. პელიემ მიუგო: „ლაპარაკობდნენ საბუთის ქაღალდის შესახებ, რომელიც საიდუმლოდ სამხედრო სასამართლოს გარდაეცა, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი კი არ წარმოადგინეს. გთხოვთ გაიხსენოთ ანრის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ საბუთის ქაღალდები დაბეჭდილ იქმნენო, მე გთხოვთ,—სთქვა დასასრულ პელიემ, რომ მოუსმინოთ ბუადერფს“. პელიემ უბრძანა კაპიტანს ბუადერფის მოსაყვანად წადიო, (საშინელი მოძრაობაა). თავმჯდომარემ სთქვა: ესტერგაზის დაუძახეთო“. (მოძრაობაა). ლაბორიმ შენიშნა „ჯერ არა, შემდეგ, როდესაც ბუადერფი თავის აზრს წარმოსთქვამსო“. ამ შემთხვევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და შეუძლებელია საქმის გარჩევის განგრძობა, ვიდრე იგი არ გამოირკვევა. მე ჩემს მოხსენებას წარმოვადგენ ამ საქმის შესახებ“. საქმის გარჩევა შესწყდა. დიდი აღელვებაა. კრების განახლების დროს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, რადგან გენერალი ბუადერფი აქ არ არის, ამიტომ საქმის გარჩევა ხვალამდე გადაიდებაო. საქმის გარჩევა ისე შესწყდა, რომ დამსწრენი ვერ გამოირკვნენ, ეს რა ამბავი არისო. დიდი აღელვებაა.

პარიჟი. პელიე რომ სასამართლოდგან გამოვიდა, ხალხი აღტაცებით მიეგება. ზოლას წასვლას ყურადღება არავინ მიაქცია. პოლიციამ სასტიკი ღონისძიებანი იხმარა.

სენატი. პარიემ და ტევენემ განაცხადეს, რომ დრეიფუსის საქმე უკანონოდ იქმნა განხილულიო. ამ გვარ მოხსენებათა განხილვა, მთავრობის აზრის თანახმად, გადადებულ იქმნა ერთ თვემდე. საქმის გარჩევის შეწყვეტის დროს არც ერთხელ ასეთი დიდი აღელვება არ მომხდარა სასამართლოს დარბაზში. მეტად გაცხარებული ბაასი ასტყდა, ბევრნი ამბობენ: „ის გზა, რომელსაც ჩვენ ვადგევართ, მეტად დიდ-მნიშვნელოვანიაო“. ამ გვარის აზრისანი არიან ბევრი უფროსი აფიცრები, რომელთაც განაცხადეს, ჩვენ დიდად ვსწუხვართ, რომ გენერალი პელიე, ჯარის დაცვისათვის იძულებულ შეიქმნა ასეთი საყურადღებო რამ წარმოეთქვაო.

7 თებერვალი

პარიჟი. სასამართლოში მომხდარ გუშინდელ ამბისა გამო, მინისტრმა გუშინ საღამოზედვე პრეზიდენტ ფორთან მოილაპარაკეს საქმეთა იმ ვითარების შესახებ, რომელიც გამოიწვია გენერალ პელიეს ჩვენებამ. თათბირმა ნახევარი საათი გასტანა. საიდუმლოდ ინახავენ ამ თათბირზედ დადგენილ გარდაწყვეტილებათ.

გაზეთები სწერენ იმ მოულოდნელ და დიდ-მნიშვნელოვან ამბის შესახებ, რის გამოც შესწყდა გუშინ

საქმის განხილვა. „journal"-ი სწერს, ხმები დადის, რომ ბილიო უკანასკნელ მოხსენებას წარუდგენს პალატას, რომ საქმის გარჩევა უნდა მიენდოს სენატს, რომელიც ამისთვის მთავარ სასამართლოდ იქმნება გარდაქმნილი.

სამჯავროს სასახლის გარშემო დღეს გუშინდელზე უფრო ბევრია ცნობის მოყვარე ხალხი და ეგებება პელიეს. პიკარისა, ზოლასა, ესტერგაზისა და ქ-ნ ბულანსის დანახვაზე ხალხში უსიამოვნება არ მომხდარა. პოლიციის აგენტთა რიცხვი მომატებულია. შუადღისას მივიდნენ გენ. ბუდეფრი, გონზი და დელანდი. დარბაზი ავსებით სავსეა. ძლიერი მღელვარებაა. მხურვალედ ბაასობენ გუშინდელ ინციდენტის შესახებ. ბუადეფრი წარსდგება მსაჯულების წინ მუნდირით (ყურის დაგდების ნიშნები.) თავმჯდ. ჰკითხულობს პელიეს გუშინდელ ჩვენებას და ეკითხება: „რა გაქვთ თქვენ სათქმელი ამის შესახებ?" ბუადეფრი უპასუხებს: „ვამტკიცებ ყოველ მხრით პელიეს ჩვენებას, როგორც სისწორისა, ისე სინამდვილის მხრით, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ დავსძენ" (ხანგრძლივი მოძრაობაა). „ბატონნო ნაფიც-მსაჯულნო, განაგრძობს ბუადეფრი. თქვენ ხართ ერი, თქვენ აქ მის წარმომადგენლებათ ითვლებით. თუ ერთი დაუნდობელათ ეკიდება თავისი ჯარის წინამძღოლთ, დაე, განაცხადოს მან ესა: ჩვენ მზადა ვართ მივანდოთ სხვებს მზრუნველობა ჩვენის პასუხის მგებლობის შესახებ. ბატონნო ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენ, რომლებიც ერს წარმოადგენთ, გამოთქვით თქვენი აზრი (ხანგრძლივი მოძრაობაა და ყვირილი. „გაუმარჯოს ჯარს." როცა გენ. ბუადეფრი გადის, ხანგრძლივი ტაშის ცემა ასტყდება) ბუადეფრის ჩვენების შემდეგ ლაბორი აცხადებს: „მე მსურს გენ. ბუადეფრს რამდენიმე კითხვა მივცე". თავმჯდომარე: „ვერ მისცემთ თქვენ მაგ კითხვებს". ლაბორი: „ვითომ რათაო?» თავმჯდომარე: „ვერა, თქვენ ვერ მისცემთ კითხვებს! გამოვიდეს სხვა მოწმე". თავმჯდომარე ამას აჩქარებით ამბობს, და მიუხედავად ლაბორის წინააღმდეგობისა, რომელიც აცხადებს, დასკვნას შემოვიტანო, — ბოქაული ესტერგაზს გამოუძახებს, რომელიც საჩქაროდ წარსდგება. დარბაზში ღრმა მდუმარეობაა ჩამოვარდნილი. როცა ესტერგაზმა უკვე დაიჭირა ადგილი მოწმეთა სკამზე, თავმჯდომარე ეკითხება ლაბორის: „რა კითხვები გაქვთ მისაცემი?" ლაბორი მხოლოდ ამას უპასუხებს: „ახლა მე დასკვნას ვადგენ და არა ძცალიომ". თავმჯდომარე: „ძალიან კარგი. მე თვითონ მივცემ კითხვებს. ამბობენ, რომ თქვენ ბორდეროს დამწერი ხართ. რა გაქვთ თქვენ ამაზე სათქმელი?" ესტერგაზი: „თავდაპირველად მე, ბატონნო ნაფიცნო მსაჯულნო, უნდა განვაცხადო შემდეგი: არამზადა მატიე დრეიფუსი ყოვლად უსაბუთოდ მაბრალებს მე იმ დანაშაულის ჩადენას, რომელიც მისმა ძმამ მოიმოქმედა. მე გამასამართლეს ჩემმა სწორებმა, რომლებმაც უკვე გამამართლეს, ახლა კი ხელმეორედ მდებენ ბრალს ისეთ წუთს, როცა მე არამყავს მრჩეველი, ვისაც ჩემი დაცვის წარდგენა შეეძლოს. მე მზადა ვარ გიპასუხოთ ყოველ კითხვაზე, რომლის სიტყვასაც თქვენ ინებებთ, მაგრამ რაც შეეხება ამ ვაჟბატონებს, ზოლასა და ვექილებზე უჩვენებს,—მაგათ მე პასუხს არ მივცემ! (აღტაცებული ტაშის ცემაა) თავმჯდომარე ეკითხება ლაბორის, გაქვთ თუ არა რამე საკითხი ესტერგაზისათვის. ლაბორი უპასუხებს: „მე დასკვნას ვადგენ და კითხვებს მხოლოდ მაშინ მივცემ, როცა მსაჯულები თავიანთ განაჩენს დაადგენენ ჩემს დასკვნაზე". თავმჯდომარე. ან ახლავე მიეცით კითხვები, ან და სულ ვეღარ მისცემთ". (ხმაურობაა). ლაბორი წინააღმდეგობას აცხადებს. თავმჯდომარე ამბობს: „ესტერგაზს შეუძლია წავიდეს". შემდეგ თავმჯდომარე იხმობს სხვა მოწმეებს, მაგრამ არც ერთი არ გამოდის. პელიე სთხოვს მსაჯულებს, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ერთი ორდენიანი პირის ბარათი, რომელიც გთხოვთ მოისმინოთ მისი ჩვენება ფულის შეთავაზების შესახებ. თავმჯდომარე პასუხს არ აძლევს და შეაჩერებს სხდომას, რომ ლაბორის დასკვნის შედგენა დააცალონ. სხდომის შეჩერების დროს ზოლა და მისი ვექილები მხურვალედ ბაასობენ, შლიან ხელებს და ცისკენ იშვერენ. სხდომა ისევ იმართება. ლაბორის შეაქვს დასკვნა, რომლითაც წინააღმდეგობას აცხადებს იმის გამო, რომ მას აუკრძალეს ბუადერფისათვის კითხვა მიეცა და ის-კი არ იცოდნენ, თუ რაში მდგომარეობდა ეს კითხვა: შემდეგ ამისა ლაბორი წინააღმდეგობას აცხადებს მართლ-მსაჯულების დარღვევის გამო, რადგანაც ვექილის ლაპარაკს არ აცლიან. დასასრულ, იგი მოითხოვს ხელ-ახლავ მოწოდებული იქმნენ ბუადერფი, პელიე და ესტერგაზი. გენერალი პროკურორი გაახსენებს მას, მე უკვე მოვითხოვე, რომ დრეიფუსის საქმეზე სიტყვას ნურავინ ჩამოაგდებსო. ლაბორი უპასუხებს: «გენერლები აქ მუნდირებით და ორდენებით მოდიან საბრძოლველად (წინააღმდეგობაა). ჩვენ გვისაყვედურებდნენ, საქმის გასინჯვას რად ცდილობთო, გენერლებს კი კონტრ-გადასინჯვა სურთ». ლაბორი დასძენს: «თუ ესტერგაზი გამართლებულ იქმნა, და ამის პასუხის გება მას მსაჯულებს დააწევს კისრად»... (ძლიერი ხმაურობაა). ლაბორი შემდეგ იხსენიებს იმ კაცს, რომელიც ეშმაკის კუნძულზე იტანჯება და რომელიც ამიტომ არაფრად აინტერესებს იმათ, ვინც ამ დარბაზში გაჰლმუის". ლაბორი ურჩევს მსაჯულთ, აიწიეთ იმ დარბაზის უკმაყოფილებაზე მაღლა, რომელმაც არც-კი იცის, თუ რისთვის ხმაურობს" (ყვირილია). ლაბორი დასძენს: „დააყენეთ თქვენი თავი, ბ.ბ. მსაჯულნო, გზა დაბნეულ ქვეყნის მღელვარების მაღლა, რომ იქნება ჩვენ ისტორიის საშიშ საფეხურზე ვდგევართ, და რომ თქვენს განაჩენს ისეთი შედეგი ექმნება, რომელსაც ახლა ვერც-კი გაზომავთ" (ხანგრძლივი მოძრაობაა). მსაჯულები გადიან განაჩენის დასადგენად.

ახალი ამბავი

⁂ **ქალაქის გამგეობის საყურადღებოდ.** 1895 წლის წყალ დიდობისაგან დაზარალებულ რიყელთათვის შემწეობის აღმოსაჩენათ, როგორც ვიცით, ქალაქის საბჭოს მიერ კომისია იყო დანიშნული. რამდენი მიიღო ამ კომისიამ შემოწირულება, ვის შემწეობა აღმოუჩინა, ამაზე ჩამოჩუმაც არ ისმის, სწორედ დროა, ინებოს ქალაქის საბჭომ და ანგარიში მოსთხოვოს ზემო-ხსენებულს კომისიას მისი მოქმედების შესახებ.

⁂ **ნავთის მრეწველობა რუსეთის იმპერიაში.** ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრების მიერ გამოცემულ ცნობიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ წარსულ წელს რუსეთში სულ უწარმოებიათ 422,460,751 ფუთი ნავთი, თუ ამ წარმოებას წინა-წლების წარმოებას შევადარებთ, დაწყებული 1892 წლიდან, აღმოჩნდება, რომ ყოველ წლივ მისი საზოგადო რაოდენობა ბევრად იზრდება, მაგრამ, მაშინ როდესაც 1892 წელს თითო წყაროდან საშუალო რიცხვით 639,500 ფუთი ნავთი ამოუღიათ, 1897 წელს მხოლოდ 460,698 ფუთი ნავთი უწევს თითო წყაროს. (1892 წ. ყოფილა სულ 448 წყარო, 1897-კი 917 წყ.) გასულ წელს ბაქოდან სულ 346,159,713 ფუთი ნავთი გაუტანიათ. იმავე 1897 წ. ამერიკაში. უწარმოებიათ 275,663,861 ფ. და ლიმში 156,912,360 ფ. ნავთი. გაუტანიათ ამერიკიდან 182,950,787 ფუთი ნავთი. როგორც ჰხედავთ, ჩვენს ნავთის წარმოებას ძალიან შორს გაუსწრია ამერიკის ნავთის წარმოებისათვის.

⁂ **ვაქსის ქარხნის გადატანა.** ქალაქის საბჭომ ნება დართო აგაპია ტერ-ასატუროვს მიხაილოვის ქუჩაზე გადაიტანოს ვაქსის ქარხანა.

⁂ **ავადმყოფობა გორის მაზრაში.** გორის მაზრაში წარსული თვის განმავლობაში უმსხვერპლია: ყვავილს —1 ტიფს 1, ფაღართს—1, წითელას —5 და ყელისტკივილს —2.

⁂ **საქველ-მოქმედო საღამო.** 8 თებერვალს სიღნაღში საცეკვაო საღამო იყო გამართული ადგილობრივი სჭქალებო სკოლის სასარგებლოდ.

⁂ **პოლიტეხნიკუმის საქმე კავკაზში.** თერგის ოლქის უფროსის მიერ წარმოდგენილ კითხვაზე, თუ რამდენი ფული მოუნდება კავკავის პოლიტეხნიკუმის შენობის აგებას, მის მოწყობას და ყოველ წლიურ ხარჯსაო, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, როგორც გვატყობინებს „თერგის უწყ." უპასუხნია, რომ რიგის პოლიტეხნიკუმის აშენება დაჯდა 155,000 მ. და თუ 1896 წ. შტატს ვიქონიებთ სახეში, კავკავის პოლიტეხნიკუმს მოუნდება 150,000 მან; იმის გარდა, რაც მის შინაგან მოწყობას დასჭირდებაო. „ამასთანავეო, დასძენს მზრუნველი. რადგანაც „თერგის ოლქს" ბუნებრივი სიმდიდრე აქვს, ამიტომ მან წლიურად 80,000 მანეთი სუფსიდია უნდა აძლიოს პოლიტეხნიკუმს, ქალაქმა კი 30,000 მან. ხოლო თუ კიდევ მეტი ფული შეიქმნა საჭირო, მაშინ შეიძლება ხაზინას ეთხოვოს დახმარებაო.

⁂ **ქსენონი შავი ზღვის პირზე.** გადაწყვეტილია დაარსებულ იქმნეს სამაგალითო ქსენონი შავი ზღვის, პირზე ამისათვის არსდება საზოგადოება, რომლის დამფუძნებელთა შორის იმყოფება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტერი ერმოლოვი. ამ მოკლე ხანში განსაზღვრულ იქმნება ადგილი, საცა ქსენონი უნდა აშენდეს. („ჩერნ. ვესტ").

⁂ **ფარმაცევტთა მდგომარეობა რუსეთის იმპერიაში.** მედიცინის დოქტორის პოგაჟევის თავმჯდომარეობით პეტერბურგში შემდგარა საგანგებო კომისსია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს კითხვა რუსეთის ფარმაცევტთა დღევანდელის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მისაღებ ზომების შესახებ.

⁂ **ყრუ მუნჯთა რაოდენობის გამორკვევა რუსეთში.** პეტერბურგის ყრუ-მუნჯთა სასწავლებელს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ყრუ-მუნჯია მთელ სახელმწიფოში და რა მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი, მიუმართავს ტფილისის გუბერნატორისათვის თხოვნით, შეგვატყობინეთ რამდენი ყრუ-მუნჯია ტფილისის გუბერნიაში და ან რა ზომებია მიღებული მათი განათლებისათვის და მათგან ხელოსნობა-ხელოვნებათა შესასწავლად.

⁂ **საერო განათლების მანისტრის** განმარტებით საქალაქო და სამაზრო სასწავლებელთა მასწავლებლებს შეუძლიათ გახდნენ დამზღვეველ საზოგადოებათა აგენტებათ, მაგრამ ამისათვის აუცილებლად საჭიროა მათთვის ნება-რთვის მიღება იმ სამოსწავლო ოლქის მთავრობისაგან, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან; მთავრობამ უნდა შესაძლებლად სცნოს აგენტობის შეერთება მასწავლებელთა პირდაპირს მოვალეობასთან.

⁂ **ბრმათა საზოგადო რაოდენობა რუსეთის იმპერიაში.** გამორკვეულ იქმნა, რომ რუსეთის იმპერიაში ბრმების საზოგადო რიცხვი 190 ათასამდე ადის ასე, რომ ათას თვალხილულზე 2 ბრმა მოდის, მაშინ, როდესაც მთელ დასავლეთ-ევროპაში ათას კაცზე 1 ბრმაც არ მოდის. რუსეთის ბრმათა რაოდენობა აღემატება მთელი დასავლეთი ევროპის ბრმათა რაოდენობას 85 ათასი კაცით.

⁂ **ციმბირის რკინის გზის დამთავრება.** ციმბირის დიდი რკინის გზის აშენებას უკვე დასასრული ეძლევა და ამ ჟამად, როგორც ისმის, პეტერბურგიდან ვლადივოსტოკამდე მხოლოდ მცირეოდენი მანძილი (330 ვერსი) დარჩენილა გზის გაუყვანლად და ამ ადგილას მიმოსვლა ცხენებით სწარმოებს.

⁂ **მუშათა კურსების დაარსება.** სახალხო განათლების სამინისტრომ ამ ხანებში განმარტა, სასწავლებლებთან მუშათათვის საკვირაო და საღამოს სპეციალური კურსების დაარსება და ორგანიზაცია მინდობილია ადგილობრივი სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-ყოფილებაზე, იმ ვალდებულებით-კი, რომ შემდეგ წარმოდგენილ იქმნეს სამინისტროში მოხსენება იმის შესახებ, თუ რა და რა განკარგულება და ზომა იქნა მიღებული ამის შესახებ.

⁂ **მიწად-მოქმედების სამანისტროს** განმარტებით, მეურნეობის სპეციალისტების გაგზავნას ამა თუ იმ კუთხეში შეიძლება მხოლოდ რამდენისამე ლექციის წასაკითხავად ამა თუ იმ სამეურნეო კითხვის შესახებ; მაგრამ მეურნეობის რომელისამე დარგის შესახებ სრული კურსის წაკითხვა-კი სპეციალისტებს არ შეეძლებათ.

⁂ **მთაწმინდის საკვირაო საქალებო სკოლა.** წარსულის წლის 28 ენკენისთვეს, გახსნილ იქმნა მთაწმინდის საკვირაო საქალებო სკოლა. დღეს ამ სკოლაში სწავლობს სამოცამდე მოწაფე ქალი, რომელთა შორის კარგა მოზრდილნიც არიან, (ერთი 35 წლისაა). საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მთაწმინდის საკვირაო სკოლაში სწავლების საქმე კარგად არის დაყენებული და სწორე გზით მიდის... გამგე სკოლისა მამა მაჭარაშვილი და მასწავლებლები მუყაითად და ენერგიულად იღვწიან, რათა მათდამი რწმუნებულმა სკოლამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს და შეიტანოს გონებრივად ბნელს ოჯახებში განათლების ბრწყინვალე შუქი... საკვირაო სკოლაში ასწავლიან შემდეგს საგნებს: საღმრთო სჯულსა, რუსულს და ქართულს ენებს, ანგარიშს, წერას და გალობას... ამას გარდა ასწავლიან ქალებს ჭრა და კერვას, რასაც საპატიო ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი საკვირაო საქალებო სკოლაში. ამ შემთხვევაში ძლიერ გონივრად მოქცეულა მთა-წმინდის საკვირაო სკოლის მთავრობა, რომელსაც ნათლად შეუგნია ქალთათვის ხელ-საქმის ცოდნის დიდი საჭიროება...

— **მთა-წმინდის სამრევლო-საეკკლესიო სკოლა.** ამავე მაჭარაშვილის მეცადინეობით, მთა-წმინდის საეკკლესიო სამრევლო სკოლა, რომელიც დაარსებულ იქმნა 1891 წელს, დღეს კარგს ნიადაგზედ სდგას და საუკეთესო სკოლადაც ითვლება ქ. ტფილისში. მის საპატიო მზრუნველად 1893 წლიდგან ღენერალ-ადიუდანტის თავ. ლევან მელიქიშვილის ქვრივი, ალექსანდრა მამუკას ასული კნეინა მელიქიშვილისაა, რომლის ხარჯით დაქირავებულია სკოლისათვის სახლი. პატივცემული კნეინა საკვირაო სკოლასაც არ აკლებს თავის დედობრივს მზრუნველობას. მამა მაჭარაშვილი საკვირაო სკოლაში საღმრთო სჯულს ასწავლის. რუსულს ენას ასწავლიან ქ-ნნი: თავადის ქალი ნინა დავითის ასული ბარათაშვილისა, შიოევი, ჯაიანი, ქართულს ენას და ანგარიშს—მთაწმინდის საეკკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელი ქალი დ. ი. ლაზარიშვილი, რომელიც დიდს სამსახურს უწევს საკვირაო სკოლას თვისის ბეჯითობით და სწავლების საქმის კარგად ცოდნით. ჭრა-კერვას

საკვირაო სკოლაში ასწავლიან ქ-ნნი: სტეპნინი, ოქუაშვილი, ელიზბარიშვილი, კუკავაძე... მხურვალე მონაწილეობას საკვირაო სკოლის საქმეებში იღებს კნიაგნა თ. ნ. ლ. თარხნიშვილი, რომელიც ქართულს ენას ასწავლის და აგრეთვე ასწავლის სხვა და სხვა საგნებს იმათ მაგივრად, რომელნიც რომლისამე მიზეზის გამო სკოლაში ვერ მოვლენ. აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ფრიად სასიამოვნო გარემოება. ამ სკოლაში ერთს ჯგუფს მოწაფეებისას რუსულ ენას და ანგარიშს მუყაითად და მოხერხებულად ასწავლის თავადის ქალი ნინო დავითის ასული ბარათაშვილი, რომელსაც წმ. ნინოს სასწავლებელში აქვს კურსი დამთავრებული... იგი შეძლებულის მშობლების ასულია და არ საჭიროებს სამასწავლებლო ასპარეზზე მოღვაწეობით ლუკმა-პური მოიპოვოს. ის ასწავლის სკოლაში, მხოლოდ იმ სურვილით გატაცებული, რომ სწავლის სხივით ახალგაზრდობას გონება გაუნათლოს. ყოველს კვირას ეს პატივცემული ახალგაზრდა ქალი სამ-ოთხს საათს სკოლაში ბავშვების სწავლებას ანდომებს—სწორედ იმ დროს, როდესაც უფროს ერთი ქართველ ნასწავლ ქალებისა უდარდელად ქუჩებზედ დასეირნობს და უსარგებლოდ დროს ჰკარგავს.

მრე

⁂ **ქურდობა.** პოლიციის მეხუთე ნაწილში, ანჩხატის უბანში, გახშირებულია ქურდობა. 7 თებერვალს, საღამოს 6 საათზედ, ვარაზაშვილის სახლებში საბანი მოგვპარეს. ამას წინედ კიდევ სამოვარი მოგვპარეს. ამ დღეებში თვით პოლიციის ეზოშიაც მოეპარათ ქვაბი და საბანი. ასე უყურადღებოდ მიგდებულია ეს უბანი. თუ პოლიციაში გამოაცხადე ესა და ეს საგანი მოგვპარეს, პასუხად ამას გეტყვიან: დამიჭირე ვინც მოგპარაო და აქ მომიყვანეო.

⁂ **ლოთობის გავრცელება ქარგლებში.** რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ვრცელდება პარიკმახერთა ზოგიერთ ქარგლებში ლოთობა და მათი უზნეობა სხვებსაც სახელს გვიფუჭებს, ყველას ჩირქსა გვცხებს. მეტი არ იქნება გავუზიარო აქვე მკითხველთ შემდეგი ამბავი, რომლის მნახველი მე თვითონ გახლდით. ამას წინად ერთს ქარგალთან შევედი საქმისათვის. საპარიკმახეროში დამხვდნენ ერთი უცხო კაცი და ორი ქარგალი, რომლებიც ხშირ-ხშირად ახსენებდნენ ნუნუას. აქვე ბრძანდებოდა „ხაზეინი", რომელიც დინჯად დაბრძანებულიყო სკამზე. ცოტა ხანს შემდეგ ამ ვაჟბატონმა წამოიძახა: ხელ-სახოცი გამოსკვენით ღვინოზეო. ქარგალმაც, რასაკვირველია, მაშინვე გამოსკვნა ხელ-სახოცის ერთი ყური, დაიკავა ხელში და სთქვა: ვისაც შეხვდება გამოსკვნილი, ღვინოც იმან იყიდოსო. ხელსახოცის ყური შეხვდა ქარგალს. ის იყო ამ უკანასკნელს შეგირდი უნდა გაეგზავნა ღვინოზე, „ხაზეინმა" მიაძახა: სამი შესრულდეო. ქარგლებმაც შეასრულეს, შეგირდს მოატანინეს და გამართეს სადღეგრძელოები. პირველის ჭიქით ადღეგრძელეს ვინც წავიდა, მეორე ჭიქით სირაჯი, რადგანაც კარგი ღვინო გამოუგზავნა, მესამეთ ის ხაზეინი, რომელიც ორშაბათიდან კვირამდე ამუშავებს ქარგალს და კვირა საღამოს საქეიფოთ უშვებს. შემდეგ მოქეიფეებმა მრავალ-ჟამიერიც შესძახეს. ყოყოჩა ხაზეინი ბანს აძლევდა. ცოტა არ იყოს წითელი ღვინით შეზარხოშდნენ და ნელ-ნელა უზრდელის სიტყვებითაც ალაპარაკდნენ.

აი კიდევ მეორე ამბავი: ერთის თვის წინად, ღამის თორმეტ საათზე, ვერიდან მოდიოდა ოთხი ძალზე დამთვრალი ქარგალი. მოუახლოვდნენ თუ არა ჩვენს სახელოსნოს, იწყეს ხმაურობა, ღრიალი და თავიანთი ნაქეიფარის ანგარიში თავის მოსაწონებლად, ერთი შემოგვხედეთ, რა მოქეიფე ბიჭები ვართო. და თან უწმაწური სიტყვებით ლაქლაქებდნენ. ამ ნაირ უზნეო ქარგლების წყალობით დანარჩენ ქარგალთა მდგომარეობა უკიდურესი გამხდარა.

ქარგალთაგანი ვანო

⁂ **ბათუმი. ქმრის მკვლელის კატორგა.** 5 თებერვალს, სხვა ტუსაღთა შორის ბათუმში ჩამოიყვანეს ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის მაზრის მცხოვრები, მართა ხარჩილავა (ახალგაზდა ქალი), რომელსაც ამ ერთი წლის წინად თავისი ქმარი მოუკლავს. ქუთაისის ოლქის სასამართლოს მისთვის 15 წლის კატორგა მიუსაჯავს. განაჩენი ტფილისის სამოსამართლო პალატას დაუმტკიცებია, ძალაში შესულა და სისრულეში იქმნება მოყვანილი. ხარჩილავა გაუგზავნიათ მოსკოვში, მოსკოვის საგუბერნიო გამგეობისათვის.

⁂ **დ. სამტრედია. უბედური შემთხვევა.** 3 იანვარს, ღამის $12^1/_2$ საათზედ, აქ მოხდა შემდეგი შემთხვევა: დეპოს უფროსთან, ბ. უსპენსკისთან, მივიდა მემანქანე, ბ. გუტკოვი და მასთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ რევოლვერი დაირტყა მარჯვენა საფეთქელზე. დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში წაიყვანეს. ბ. დუტკოვი დიდად პატივცემულია თავის ტოლ-ამხანაგებში, როგორც კარგი ნასწავლი და განათლებული კაცი. ბ. გუტკოვი პირველად პირველი კლასის მემანქანედ იყო, შემდეგ გადაყენებულ იქმნა მეორე კლასის მემანქანედ. ბოლოსკი, როგორც ამბობენ, თურმე ამ თანამდებობის ჩამორთმევასაც უპირებდნენ. ასეთი მისი დაქვეითების მიზეზად გარდამეტებით ღვინის სმასა ასახელებენ.

ანტონასშვილი

⁂ **ს. აწერის ხევი.** (მთის ქართველები). **ხელოსნობა.** ეჭვი არ არის, რომ სოფელ აწერისხევის სახელი არავის ეცოდინება; თუმცა აწერიხეული კიდობანი, აკვანი, მაგიდა, „სკამი", ჯარა და სხვა ხის ავეჯეულობა თითქმის ყველას გენახებათ, თუ ოდესმე სტუმრებიხართ რომელსამე ძველი ქართველი გლეხის ოჯახს. არ არის მთელს საქართველოში არც ერთი სოფელი, რომ მთლად ერთი სოფლის მცხოვრებნი, რომელიმე ერთს განსაკუთრებულს ხელოსნობას ადგეს. ამ შემთხვევაში სოფელი აწერისხევი შესანიშნავ სოფლად შეიძლება ჩაითვალოს მთელს საქართველოს სოფლებ შორის. ეს პატარა სოფელი, რომ ნახოთ, თვალ წინ წარმოგიდგებათ დიდი რომელიმე ქარხანა. სადაც ისეთი მოძრაობაა, რომ თვალს ვერ მოასწრებს კაცი. მთელი წლის განმავლობაში ზამთარ-ზაფხულ, დიდი, პატარა, ქალი და კაცი ხის ავეჯების მეტს არას აკეთებენ. კიდობნებს, აკვნებს, მაგიდებს აკეთებენ ათასობით და ათი ათასობით, გააქვთ ქართლში, კახეთში და ხან და ხან იმერეთშიაც. ვერც ერთ დიდ დღეობას ვერ ნახავთ ქართლში, სადაც ბაზრობა იცის, რომ იქ აწერისხეული კიდობანი და აკვანი არ იყოს გასასყიდი, სანამ, ევროპიული გაუმჯობესებული ავეჯეულობა გავრცელდებოდა ჩვენში, თავადიშვილების ოჯახშიაც ხშირად შეხვდებოდით პურის კიდობნებს, თეთრს ჩარხის აკვნებს, ახალფრით აჭრელებულს. განა არ იტყვის ხოლმე აწერისხეველი მოხუცი: „ვინ არის ქრისტიანი, რომ ჩვენც გვასწავლოს, ი ქალაქში რიამ მინახავს ისეთი ფეხის ჩარხი".

თუმცა აწერხეულს ნაწარმოებს ბაზარი გაუფუჭდა. (აკვანი ათი შაური ღირს), მაგრამ მთელი სოფელი აკვნითა და კიდობნითა სცხოვრობს დღესაც. ამ ავეჯეულობით ყიდულობენ პურს, სასმელს, საკლავს და ტანთ საცმელს; ამითივე ისტუმრებენ მტერსაცა და მოკეთესაც. აი ეს სოფელი მდებარეობს პატარა ლიახვის ხეობაზედ, გაშენებულია უმთავრესი კავკასიონის ქედისა, ერთ ტოტზედ გორის მაზრაში. შესდგება ორმოცი კომლი ქართველი გლეხისაგან. ხეობაში, ამათ ზემოთაც და ქვემოთაც ოსების სოფლებია. თუმცა ახლოს სცხოვრობენ ამ ხელოსან ხალხთან, მაგრამ ამათ ხელსაც ვერ გაუწვდიან.

* * *

თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა. კვირას, 8 თებერვალს, ქართულ დრამატიულ დასის რეჟისორის ბ-ნ კ. ს. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა ხუთ-მოქმედებიანი დრამა „ა. კაზაიანი" ბენეფიციანტის მიერ გადმოკეთებული სუმბათაშვილის დრამიდამ „არკაზანოვების ოჯახი".

შინაარსი ამ დრამისა შემდეგია: თავ. დიმიტრი ჯარჯიძეს (ბ. გამყრელიძე) განათლებულ მემამულეს და გვარიან შეძლების პატრონს მოუკიდნია ხელი სხვა-და-სხვა დიდის წარმოებისათვის, როგორც მაგალ. შავი-ქვისა, ნავთისა და სხვ. საქმეების წარმოება ჩაბარებული აქვს მდიდარს და გაცვეთილ ბანკირს ა. კაზაიანს (კ. ს. მესხი), რომელიც საქმეს იქამდის მიიყვანს, რომ ერთს მშვენიერს დღეს თ. ჯარჯიძეს პირდაპირ და გულ-გრილად ეუბნება: „მე იძულებული შევიქნები ხვალვე გამოვაცხადო თქვენი გაკოტრება, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი გაკოტრება ოდნავაც არ შეუშლის ხელს ჩემს საქმეებს". ამ სიტყვებით აპირობს კაზაიანი გასვლას ჯარჯიძის სახლიდგან, მაგრამ უცებ შემოვარდება ამ უკანასკნელის ცქრიალა და ტურფა ქალი ვარო (კარგარელი). უსიცოცხლო და რკინასავით გაცივებული გული კაზაიანისა უცებ ადამიანურ ხასიათს იღებს ვაროს დანახვაზე, მას თვალი ველარ მოუშორებია ვაროს ლამაზი სახისათვის და დაბნეულად ეუბნება ჯარჯიძეს: მოითმინეთ, ვიფიქროთ და იქნებ ხსნა საიდანმე გამოგვიჩნდესო და დარჩება იქ საუზმეზე. კაზაიანს მოედება სიყვარულის ალი, გაიღვიძებს მასში დახშული ადამიანური გრძნობა და მთელი თავისი არსებით ეძლევა ვაროს სიყვარულს; არ ზოგავს არავითარს საშუალებას ვაროს სიყვარულის სასყიდლად, მზად არის ვაროს მამა წამოაყენოს ფეხზე, დაიცვას მისი სიმდიდრე და საზოგადოებრივი პატიოსნება, მზად არის შესწიროს მთელი თავისი სიმდიდრე, თავისი ოქროები, ის ოქროები, რომლებზედაც იმან იქორწინა, რომლებიც შეადგენდა ერთად-ერთ მიზანს მისის ცხოვრებისას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ კაზაიანი ცოლიანია! ცოლად ჰყავს ნამდვილი ქაობის ბაყაყი, ლეში და ყოვლად ბინძური არსება. თავისის საზოგადოებრივის მდგომარეობისა გამო მას არ შეუძლიან გაიშოროს თავიდამ ეს საზიზღარი ცოლი, რადგან ის ფულებზეა ჯვარ-დაწერილი და არა მაქთალაზე (ჩერქეზიშვილი). ამ დროს სწორედ რომ კარგად გამოადგება ცოლის ნათესავი ნარქიზ ქარაფშუტოვი (ვ. აბაშიძე), რომელიც ამ ხანებში ეწვევა კაზაიანს დიდის ხნის უცხო ქვეყნებში ხეტიალის შემდეგ, და რომელსაც კაზაიანი აიყვანს სახლში იმ პირობით, რომ იგი მისი ყურმოჭრილი მონა უნდა იყოს ყველაფერში, რასაც-კი უბრძანებს.

კაზაიანი მარქრიტა ნამდვილოვის (გამყრელიძისა) რჩევით გადასწყვეტს ვარო შეჰრთოს ქარაფშუტოვს და ქორწილის შემდეგ-კი მოაშოროს. ამ გზით შეიძლება ვარო ხელში იგდოს, დასვას იგი ოქროს ტახტზე და თვითონაც დასტკბეს ბედნიერებით. ამ განზრახვით კაზაიანს მიჰყავს ქარაფშუტოვი ჯარჯიძის სახლში და თავ. დიმიტრის უხსნის, რომ ქარაფშუტოვმა შეისყიდა ყველა მისი ვექსილები და ვალის გასტუმრებას ის კისრულობს, მხოლოდ ერთის პირობით——ვარო მიათხოვოს ნარქიზს. თავადიშვილი ჯარჯიძეკი, მიუხედავად იმისა, რომ ხვალვე გაიყიდება მთელი მისი ქონება, დღეს-ხვალ დაიჭერენ და ჩასვამენ ციხეში და შემდეგ გაგზავნიან ციმბირში, მიუხედავად იმისა, რომ მას ეკარგება ყოველიფერი, ილახება და პატივი ეყრება მის გვარიშვილობას, რომ ლუკმა პური უწყდება მის ცოლშვილს, უარსა სთხლეშავს მამაწანწალა ქარაფშუტოვს და უკმეხათ ითხოვს სახლიდგან კაზაიანს, რომლის სული და გული, გაჟღენთილი ქვრივ-ობლების ცრემლით აზელილ წყევა-კრულვით, არამი ოფლით, სიცრუით, სიყალბით და განმარტოვებული თავკერძოობით უკვე გამოაშკარავა ამ ფაქტმა—კაზაიანი გადის ჯარჯიძისაგან, მაგრამ ამ სიტყვებს კი უტოვებს: „გახსოვდეთ, კაზაიანმა პატიება არ იცისო" და მართლაც მეორ-მესამე დღესვე თ. ჯარჯიძეს ეყიდება მამული და ყოველი შეძლება, მისი სახლობა სასოწარკვეთილებას ეძლევა, თ. დიმიტრი დღე დღეზედ დაპატიმრებას მოელის. ყოველ ღონეს ხმარობს სახლში მეტი სულგრძელობა და სიმამაცე გამოიჩინოს. ჯარჯიძის მეგობარი პეტრე უმიშვილი [illegible] ამშვიდებს თ. დიმიტრის, ცოლი—მაშალე (ე. ს. მესხი) დარიგებას აძლევს თავის ორ შვილს სანდროს (გარელი) და ვაროს მოთმინება-შეჭირვებაზე, შრომის მოყვარეობაზე, პატიოსნებაზე და სხვ. კაზაიანი კი რაც შეიძლება აჩქარებს, რომ როგორმე გატეხოს თავმოყვარე თავადი. აი თითქო კიდეც მიაღწია თავის მიზანს. მისი ღმერთი-ვარო მიდის მასთან მარტო და ხსნას ევედრება. კაზაიანი ამ ბედნიერებით გარეტებული ჰკარგავს თავის გულ-ქვაობას და ადამიანურის გულით ეუბნება სიმართლეს. უჩვენებს მთელ თავის არსებას, ჩამოუთვლის, თუ რამდენს ადინა ცრემლი, როგორ ამობობღდა ამ დიდებამდის უბრალო ლუკმა-პურ გამოწყვეტილი ობლიდგან, თუ რათ უშვრება თ. ჯარჯიძეს ამ საქმეს, როცა შეუძლიან მისი ხსნა. «გამხადე შენი მფლობელი, მამეცი სამაგიეროდ სულ მცირედი ნაწილი თანაგრძნობისა და ყველაფერი გაკეთდება: სახელი, შეძლება და შენი ბედნიერება»... ეუბნება კაზაიანი ვაროს, მაგრამ უკანასკნელის უმანკო და გულ-უბრყვილო სულის სისპეტაკე შემღალა კაზაიანის ალსარებამ. აუტანელ საზიზღრად დაესახა მას ეს კაცი, რომელიც მიზნის მისაღწევად არ არჩევს საშუალებებს და სულისა ხდის მრავალ პირთ, რომელნიც მისგან წინდაწინვე მსხვერპლად არიან ჩათვლილნი. ის უარსა ჰყოფს მის ტრფობას და თანაგრძნობის ნაცვლად ზიზღს უცხადებს, თუმცა ვაროს დიდი ხანია გული მისკენ მისწევდა, უყვარდა და ეს სიყვარული შინაურებთანაც ველარ დამალა. გადის ვარო დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ და კაზაიანი კი გულ-შემოყრილი ეცემა იატაკზედ... თავდება დრამა. ჯარჯიძეები იღუპებიან, გაეყიდათ ყველაფერი, აღარავითარი საკუთრება გარდა თავიანთი საკუთარი შრომისა აღარა დარჩენიათ-რა ამ ქვეყნად, პოლიციელიც მოდის დიმიტრის დასაპატიმრებლად, ყველა ამას მზად და სულგრძელებით, ნამდვილ ფეოდალურის ამაყობით უხვდებიან. კაზაიანი ერთხელ კიდევ სცდის ბედს. მოდის ჯარჯიძეებისას და უწვდის შემწეობის ხელს: უპირებს დახსნას, ფეხზე დაყენებას და გადიდებას, მაგრამ თავადიშვილები ყველანი ერთად უარს ეუბნებიან ამ გვარ მოწყალებაზე და კარებს უჩვენებენ. ყველანი ზიზღით უყურებენ, ყველანი ლანძღვით იხსენიებენ, მხათ არიან შუა გაჰგლიჯონ, მხოლოდ ვაროა ბრძოლაში—რა ჰქნას, კაზაიანი უყვარს და ეზიზღება კიდეც. თითქოს ამჩნევს ამ ყოყმანობას, კაზაიანი უწვდის ხელს, მაგრამ შეშინებული ვარო დედას ეკვრის და კაზაიანს არა დარჩენია-რა, ხელ-ცარიელად გასვლის მეტი.

(შემდეგი იქნება)

* * *

სამეცნიერო ცნობა

ჭინჭველების ომები. გამოჩენილი ლესპესი ასრე აგვიწერს ჭიანჭველების ომებს. „ომის წინ ჭიანჭველები გზავნიან რამდენსამე გამოცდილს ჭინჭველას გზების და ბუდეების დასაზვერად. როცა ესენი დაბრუნდებიან დღის სამ საა-

თზე, მეომარი ჭინჭველები გამოდიან ბუდიდგან. პირველად მათ მოძრაობას წესი არ ეტყობა მაგრამ, როდესაც ყველანი ერთად შეგროვდებიან, მწყობრად დგებიან და სწრაფად მიდიან რომელიმე ბუდის ასაკლებლად. მოწინავე ჯარი სულ მიწაზე იცქირება, თითქო რაღასაც ეძებენო. მართლაც ისინი ეძებენ იმ ჭიანჭველების კვალს, რომლებთანაც მიდიან საომრად, და ამ შემთხვევაში ყნოსვით ხელმძღვანელობენ. როგორც ძაღლები, ისე სუნავენ მიწას და, თუ კვალი იპოვეს, სწრაფად გარბიან წინ და მათ მისდევს მთელი ჯარი. დაინახავენ თუ არა ბუდეს, სწრაფად შეცვივიან ხოლმე შიგ და დიდს ომს ასტეხენ. მრავალი ჭიანჭველის სისხლი იღვრება ამ ომში და შემდეგ გამარჯვებული მძარცვ ჯარს მიაქვს მთელი მათი სარჩო და გამოუჩეკავი კვერცხები. რამდენიმე თვის უკან ამ კვერცხებიდგან გამოდის ჭიანჭველა, რომელსაც წარმოდგენაც არა აქვთ თვის ჩამომავლობაზე და ამგვარად პატარაობიდგანვე ხდებიან მათ ყმებად და ძალა დაუტანებლივ მონაწილეობას იღებენ ყოველ გვარ მათ სამუშაოებში.

ქ. ეფემიაშვილი.

◆

სამეურნეო ცნობანი

ქათმების კვერცხის მდებლობა. ვისაც თვალ-ყური უდევნებია, შენიშნავდა, რომ ქათმები ადრე და მალმალე კვერცხსა სდებენ მაშინ, თუ საქათმეში თბილა. ამას გარდა, შემდეგი საშუალება თურმე კიდევ კარგი, რომ ქათმებმა დიდხანსა სდონ კვერცხი, სახელდობრ გამხდარი თესლი და ფოთლები ენდროსი, რომელიც რბილ საჭმელში უნდა გაურიონ და ზამთრობით იმითი ჰკვებონ ქათმები. კარგია აგრეთვე მოხალულ ქერითა და პურის ხორბლით კვება.

⁂

სხვა-და-სხვა ამბები

სამხედრო ხომალდი. ყირიმის ომის დროს (მესამოცე წლებში) სამხედრო ხომალდი წარმოადგენდა ხის პატარა გემს, 60—100-ოდე ზარბაზნით. ეს გემი უმთავრესად იალქნებით მოძრაობდა და ორთქლს-კი ძალიან ნაკლებად ხმარობდა ამ მიზნისათვის. ეს გემი შეიარაღებული იყო უმთავრესად 32 გირვანქიან იარაღებით, რომელთაც ერთად ძლივს 125 ფუთი სიმძიმე ჰქონდათ; ამასთანავე ამ გემზე იყო რამდენიმე 68 გირვანქიანი იარაღი, სიმძიმით სულ 238-ოდე ფუთი. ერთი სიტყვით, ეს გემი ძლივს ზიდავდა 363-ოდე ფუთის სიმძიმეს. დღევანდელი სამხედრო გემი-კი წარმოადგენს უზარ-მაზარ ორთქლ-მავალს, რომელიც ზიდავს 540,000 ფუთის სიმძიმეს და აქვს 8000 ცხენის ძალა. მას თავზე ადგას დიდ-დიდი სატრიალებელი კოშკები და 4—6 მეტად მძიმე იარაღი. წყლის ქვეშ გაშვერილი აქვს ცხვირი მტრის გემის შესამტვრევად. ეს ორთქლ-მავალი წარმოადგენს ერთ ვეებერთელა მანქანას, რომელსაც ორთქლი სწრაფად მიაქანებს წინ. იმავე ორთქლს მოძრაობაში მოჰყავს საჭე, ატრიალებს კოშკებს, სწევს ზევით და ქვევით ღუზას (იაკორს), უმიზნებს და სტენის იარაღებს, ამოაქვს წყალი, ააქვს და ჩამოაქვს პატარა ნავები და სხვ. და სხვ...

აი ასე საოცრად გაუმჯობესდა სამხედრო ხომალდი სულ რაღაც 30-იოდე წლის განმავლობაში, აი ასეთი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ ტეხნიკის განვითარება.

რა თქმა უნდა, ის სახელმწიფო უფრო ადვილად გაიმარჯვებს ომში, რომელსაც უფრო ბლომად აქვს ასეთი გაუმჯობესებული სამხედრო გემები და ყოველ გვარი საომარი იარაღი.

სევ.—ლი

* * *

განცხადებანი

მ. გ. ჯანაშვილის

შედგენილი ანუ გამოცემული წიგნები

		კ.
ა.	საქართველოს ისტორია	70
ბ.	საქართვ. საეკლ. ისტორია	45
გ.	მართლმადიდ. ეკლესიის ისტორია	40
დ.	საუნჯე მეათე საუკუნისა	20
ე.	ალვადგინე	30
ვ.	მწერლობა მეათე საუკუნისა	40
ზ.	მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი	10
ჱ.	შოთა რუსთაველი	40
თ.	ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი	40
ი.	ათას ერთი ღამე (თარგმანი)	40
ია.	სამცხე (გეოგ. აღწერა ვახუშტისა)	20
იბ.	ქართლი (მისივე)	25
იგ.	ბამბა და მისი მოყვანა	15
იდ.	ერეკლე მეფის სახსოვარი («ცნ. ფურც.» გამოცემა).	

წიგნები გ, ჱ, ია და იბ მთავრობისაგან მოწონებულია სახმარად და სახელმძღვანელოდ სამრევლო სკოლებისათვის.

საქართველოს საეკლესიო ისტორია მზადდება მეორე გამოცემად

(10—6)

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე
დილის 11—12 საათამდე და
საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

ახლად გამოვიდა და ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის „მაღაზიებში

ამხანაგობა „გლეხის“ გამოცემანი

გერმანელები
ფასი 30 კაპ.

იტალიელები
ფასი 30 კაპ.

ინგლისელები
ფასი 40 კაპ.

თითოეულს წიგნში ხუთ-ექვს სურათამდეა მოთავსებული.

(10—4)

აზღვევ აზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
დებულობს:
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშების, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.
თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое Общество „ЯКОРЬ“
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ. 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева
па углу Эриванской площади, д. кн. Циціанова № 2.
(50—3)

БИРЖЕВЫЯ ВѢДОМОСТИ

Второе изданіе

ПОДПИСНАЯ ЦѢНА со всѣми *приложеніями:* съ пересылкою *НА ГОДЪ* 4 РУБ.

Подписная цѣна со всѣми *приложеніями:* НА ТРИ МѢСЯЦА 1 Р

Большая ежедневная безцензурная газета.

Самостоятельный въ своихъ сужденіяхъ, чуждый тенденціознаго извращенія фактовъ и безусловно независимый органъ печати. Ярко освѣщая всѣ явленія общественной жизни, имѣя огромную сѣть корреспондентовъ, эта газета, при всей своей твердости и неуклонности, справедливая и безпристрастная, уже много лѣтъ является, несомненно,
наиболѣе полнымъ
выразителемъ нуждъ провинціи.

Главные отдѣли газеты, а въ особенности руководящихъ статей, ежедневныхъ бесѣдъ, политической, столичной и провинціальной общественной жизни, фельетона, телеграммъ, новостей и отголосковъ, корреспонденцій, міра изящныхъ искусствъ и пр., по своей *полнотѣ* и *свѣжести* совершенно отвѣчаютъ подобнымъ же отдѣламъ другихъ большихъ столичныхъ газетъ.

Въ ней принимаетъ участіе цѣлый рядъ **извѣстнѣйшихъ русскихъ писателей,** произведенія коихъ составляютъ главную притягательную силу ежемѣсячныхъ (толстихъ) журналовъ.

ИЛЛЮСТРАЦІИ
на событія дня
какъ русской, такъ и иностранной политической и общественной жизни помѣщаются не только въ литературной части воскресныхъ номеровъ, но и въ самой газетѣ, по мѣрѣ надобности, нѣсколько разъ въ недѣлю или-же
ЕЖЕДНЕВНО.

Литературная часть воскресныхъ номеровъ печатается съ иллюстраціями на событія дня, на бѣлой глазированной бумагѣ размѣромъ въ 8—12 страницъ (сверхъ газетнаго листа), какъ
ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ
еженедѣльный журналъ

БОЛѢЕ 50,000 ПОДПИСЧИКОВЪ

Въ наступающемъ году въ „Биржевыхъ Вѣдомостяхъ будутъ напечатаны.

„Основы“,
романъ въ 6 частяхъ
Независимаго. І. Ясинскаго.

„Иду на васъ“!
романъ
Вас. Ив. Немировича-Данченко.

«Записки товарища прокурора» *Боровиковскаго.*
„Цѣль жизни“, романъ *П. Н. Краснова*

„РАБА“, разсказъ *Авиловой.*
Необыкновенная исторія обыкновенныхъ людей, *Н. Пружанскаго.*

и др.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА
на второе изданіе
„БИРЖЕВЫХЪ ВѢДОМОСТЕЙ“
со всѣми приложеніями
и съ пересылкой въ Россіи:

на годъ . 4 р.
на полгода 2 р.
На 3 мѣс. 1 р. ноябрь декабрь январь
на мѣсяцъ 35 к.

Главная контора:
С.-Петербургъ, Невскій, 28.
(5—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Февраля, 1898 г. სტამბა ქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია